

სპორტი კანონები

მოგთხრობთ შაბათ საღამოსა და კვირას გამართულ შეჯიბრებებზე:

საწყლოსნო-სპორტულ სპორტი. მოსკოველმა ვ. ფილინმა ზურმულაში (ლატვია) გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ერთხანად ოქროს 8 მედალი მოიპოვა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წარმომადგენელმა, 20 წლის სპორტსმენმა პირველობა არავის დაუთმო ტრამპლინიდან ხტომაში, ფიგურულ სრიალსა და საშვიდში. მხოლოდ ცალი თხილამურით სლალომში ჩამორჩა იგი მოსკოველ გ. გუსტევს.

ქალთა შორის სამკვიდში ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ლაბორანტმა ვ. ლიტვინოვამ (დუბნა). ფიგურულ სრიალში საუკეთესო იყო მოსკოველი ინიერი

ნ. პავლოვა, ხოლო ტრამპლინიდან ხტომაში — რივის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორანტი ი. მეიე.

გუნდურ ჩათვლაში უველას აჯობეს მოსკოველებმა. II ადგილზე არიან რსფსრ-ს წარმომადგენლები, III — ლენინგრადელები.

მდინარე ლიეულაზე გამართულ ამ წარმაც შეჯიბრებას დაძაბულ მაყურებელი დაესწრო.

შაბათი. ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელმა ლ. კაველიკმა, რომელსაც მხოლოდ ორი წლის წინათ მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, I ადგილი დაიკავა ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში. გამარჯვებულმა 10,5 ქულა დააგროვა 15-დან. II ადგილზეა საბჭოთა დიდოსტატი დ. შრონშტეინი, რომელიც ჩეხოსლოვაკიელს ნახევარი ქულით ჩამორჩა.



პროლეტარებო ყველა კავშირისა, შეერთდით!

სპორტი

№ 153 (3637) 6

1968 წ. აპრილი, საშაბათი. შანი 8 პაპ.

გამოცემის 25-ე წელი.

საქართველოს სსრ სპორტულ სსრკავშირისა და ორგანიზაციების კავშირისა და პროლეტარებთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

მძლეოსნობა. სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ხუთიდან მეორე შედეგი აჩვენა პ. როზენდელმა (გერ.) 21 წლის სპორტსმენმა ლონდონში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 5129 ქულა დააგროვა (80 მ თარგბენი — 10,9; 200 მ — 24,2; სიგრძე — 845 სმ; სიმაღლე — 168 სმ; ბირთვი — 14 მ).


ბაიბარავითა და კანოე-თი ნიამოსნობა. სხვადასხვა წლის ექვსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, თერთმეტმა მსოფლიო ჩემპიონმა და ევროპის ცამეტმა ჩემპიონმა პსკოვში, მდინარე ველიკაიაზე სსრ კავშირის ჩემპიონთა შედეგებისთვის დაიწყო ბრძოლა. შეჯიბრებაში სულ 518 სპორტსმენი მონაწილეობს — ასეთი შემადგენლობით უმაღლესი კლასის საერთაშორისო რეგატების გამართვა არ შეეძლებოდა. წინასწარმა ასპარეზობამ სიურპრიზები არ მოიტანა — სახელოვნებმა თავიანთი გაიტანეს. ორშაბათსა და სამშაბათს მთავარი ბრძოლები გაიმართება — გათამაშდება 17 საჩემპიონო ტიტული.

ცურვა. საფრანგეთის ჩემპიონატში ბრწყინვალედ იასპარეზა კლოდ მანდონომ. ამ ნაჭიერმა მოცურავე ქალმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 2.12,4. ძველი მიღწევა (2.14,4) ჩეხოსლოვაკიელ ო. კოზინეცს ეკუთვნოდა.

უკანასკნელ საქმის

პარიზი, 5 აგვისტო. საფრანგეთის მოცურავეთა ჩემპიონატში გუშინ კონტინენტის მეორე რეკორდის ავტორი გახდა 18 წლის კლოდ მანდონი: 400 მ თავისუფალი სტილით მან 4 წუთსა და 41,1 წამში გაკურა, ძველმა რეკორდმა სულ სამი დღე იარსება — იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩემპიონატში (კ. ლინკოლნი, ნებრასკის შტატი) დაამყარა შედემა ე. ლონგრენ-მორისმა — 4.42,4.

შახმატო. შაბათს მოსკოვის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ბერლინელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს. ეს ამხანაგური შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2. გოლების ავტორები არიან: მოსკოველთაგან ვ. შვიცცივი და ლარინი, სტუმართაგან — ლისციანი (2).
საკლესი. 5 აგვისტო.



ჩემპიონები


სოფია, 5 აგვისტო. მძლეოსანთა შეჯიბრებაში ნახევრები რამდენიმე კარგი შედეგი. მაგალითად, სსრ კავშირის წარმომადგენელმა პ. პაქუნენკომ პირველზე ცდაზე 213 სმ აიღო და სიმალეზე ხტომაში ფესტივალის ჩემპიონობა მოიპოვა. მართალია, იუგოსლავიელმა მსტომელმა ბ. ტოდოსკოვიჩმაც დაძაბა ეს სიმაღლე, მაგრამ ეს მეორე ცდაზე მოხდა.

მაღალი შედეგი აჩვენა ფესტივალის მეორე საბჭოთა ჩემპიონმა ნ. ბესფაშინმა, რომელმაც 100 მ 11,6 წამში გაიბიძინა. შუბის ტყორცში უძლიერესი იყო პოლონელი დ. იავორსკა (59,64 მ). ამ სახეობაში ასპარეზობდა ოლიმპიური ჩემპიონი მ. ბენეში (რუმინეთი); მაგრამ იგი IV ადგილს დასჯერდა (47,82 მ).

კოშკიდან წყალში ხტომაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა ი. მელნიკოვსა (სსრ კავშირი) და აბუ-საიდს (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) შორის. საბჭოთა მსტომელმა მხოლოდ 0,8 ქულის უპირატესობით გაიმარჯვა.

სურათებზე: ზვიდან ქვევით — ახალგაზრდობისა და ხტუნუნტა IX მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი ტანვარჯიშში ვ. კომისაროვი და ვერცხლის პრიზიორი რ. ბრისტოვი (ბულგარეთი); თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენი ი. გრივენიკოვი. მან დაამყარა ჰაბუტა საკავშირო და ფესტივალის რეკორდები (შველა ფესტივალის საუკეთესო შედეგი) 100 მეტრზე — 55,7.

ტელეფონი ვ. ბუდანოვა და ა. კუზნეცისა (საკლესი).



პორტიზი თუ გელერნი?

სკოლაში (იუგოსლავია), 5 აგვისტო. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის — „სოლიდარობის შესვენების“ ბოლო, XIX ტურის წინ დიდოსტატთა კვინტეტი კვლავ ლიდერობს. ჯერჯერობით I ადგილზეა პორტიზი (უნგრეთი) — 13 ქულა, II — გელერი (სსრ კავშირი) — 12. ორივეს დარჩა თითო გადადებული პარტია. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) 12 ქულა მოაგროვა, პორტიზა (ჩეხოსლოვაკია) — 11,5, გელიორიშმა (იუგოსლავია) — 10,5.

XVIII ტურში პორტიზმა ყაბით დამთავრა შესვენდა გელიორიშთან, გელერმა კი (37-ე სელაზე) მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერა საჭადრაკო გრაფაში, როცა ნიჩვისკის (იუგოსლავია) მოუგო. ლიდერებს შორის უუსტ ინტერვალს ახლა დასამთავრებელი პარტიების შედეგები დაადგენს.

პოლუგაევსკი ყაბით დასჯერდა იუგოსლავიელ დ. ილიევიცისთან, პორტიზი — ნიჩთან (იუგოსლავია).

დიდოსტატის წოდებას რომ მიასლობოდა (ნორმა 12,5 ქულა), საგონისთვის მართლან გამარჯვება იყო საჭირო. ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატმა მეტოქე რთულ ტექტიურ ბრძოლაში ჩააბა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უუსტოდ ითამაშა, იერიში ვერ მოაგერია და 41-ე სელაზე საათი გააჩერა. საგონს ისევ 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

5 აგვისტოს გათამაშდება დასკრთი ტურია.

იან ღერიქსენი (ჰოლანდია): „ომარ ფხაკაკი უდიდესი სპრინტერი“
80-2 83.

ისევ რეკორდები

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ლინკოლნი (ნებრასკის შტატი) გამართულ ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა და ჩემპიონატში 2 მსოფლიო რეკორდი იქნა დაამყარებული. მანამდე ამ შეჯიბრებაში 15 წლის დები მაიერმა 400 მეტრი თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 36,7 წამში გაკურა, რაც მისსავე ძველ მსოფლიო რეკორდს 2,8 წამით სჯობს.

ამ დისტანციაზე ამავე სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა შვედმა ელიზაბეტ მორისმა (იგი ახლა მეხიკოში ცხოვრობს და ლინკოლნი საასპარეზოდ შექსიკელ სპორტსმენებთან ერთად ჩამოვიდა, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში შედეგის სახელით გამოვა) — 4.42,4. მაგრამ ამ შედეგით იგი მხოლოდ V ადგილზე გავიდა.

უკანასკნელ საქმის

ლინკოლნი, 5 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა და ჩემპიონატში ახალ წარმატებას მიაღწია საკრამენტოელმა დები მაიერმა: მან მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი რეკორდი დაამყარა — 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით მოასპარეზე ჯოჯონამ 800-მეტრიან მონაკვეთზე 9.17,8 აჩვენა. ფინიშთან მაიერს მხოლოდ 7,3 წამი დააკლდა თავისივე მსოფლიო რეკორდამდე, რომელიც ამა წლის 21 ივლისს დაამყარა ლოს-ანჯელესში. მაიერის დროა 17.31,2. საკრამენტოს გუნდმა (დ. მაიერი, ლინდა უილიამსი, ვიქტორია კინგი და სიუ პედერსენი) მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 4x200 მეტრზე ესტაფეტაში — 8.46,2.

კიევი, 5 სექტემბერს

მოსკოვი, 5 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი კორ.). შეიცვალა საკავშირო გავრცელების პრეტენდენტთა — დიდოსტატების ვ. კორჩინოვა და ბ. სპასკის ფინალური მატჩის

ჩატარების ადგილი. ეს შეჯიბრება დაიწყება 5 სექტემბერს კიევში. მატჩის მთავარ არბიტრად დამტკიცებულია დიდოსტატი ს. ფლორია.

უკონფლიქტო

ომარი კვლავ უკლავალია

სარკმლი, 5 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სვეტ. კორ.). 4 კილომეტრზე გაუთა ინდივიდუალური რბოლა და გუნდური შეჯიბრება (ისევე, როგორც სპორტი) ჩვენი ველოსპორტის მთავარი დასაყრდენი იქნება მეხიკოში. სწორედ ამიტომ, ხარკოვში ეს სახეობები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მაყურებელთა და სპეციალისტთა შორის. მწვრთნელები და ოლიმპიური მეთვალყურეები გულმოდგინედ ადგენენ ყოველი რბოლის, ყოველი სერიის გრაფიკს, ადარებენ მათ ერთმანეთს და მიღებული მონაცემების საფუძველზე სასაყენ ოლიმპიური გუნდის კონსტრუქციას.

თუმცა, პირდაპირ უნდა ვთქვათ: სპრინტსა და 4 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში მდგომარეობა სანაყვეროდ გარეგნულია: ო. ფხაკაძისა და ს. მოსკოვის კანდიდატურები ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რამდენადაც ცხადია მდგომარეობა ფაქტობრივში, იმდენად ბუნდოვანია პერსპექტივა მეორე ნომრებთან. დიას, კიდევ თითო კაცს შერჩევას სპრინტსა და ინდივიდუალურ რბოლაში პირველი მნიშვნელობის პრობლემაა. და დღეს სწორედ ამ პრობლემაზე იმტერენ თავს სპეციალისტები.

მაგრამ ისე ნუ გამოგებთ, თითქოს ფხაკაძესა და მოსკოვის იქით ჩვენს ველოსპორტს არა აქვს გზა. არიან, რა თქმა უნდა, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში გამოიჩინენ თავს და გვერდში ამოუდგებიან ამ ორ ფაქტორს. ეს უმეტესად მოხდება, მაგრამ დღეს დამსჯელი პარტიზონის შერჩევა მოსკოვისთვის და, განსაკუთრებით, ფხაკაძისთვის ჭირს. ასეთი პარტიზონების მონახვა კი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ფაქტორები მძიმე ოლიმპიურ ბრძოლაში მარტო არ დარჩნენ უცხოელ სპორტსმენთა გარემოცვაში.

მოგვცა თუ არა ამ მხრივ იმედები ხარკოვის ჩემპიონატმა? გარკვეული პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე ძველია და აი, რატომ: ინდივიდუალურ რბოლაში მოსკოვთან ვერჯერობით ახლოს ვერავინ მიდის. ხარკოვში მან ფეხდა რბოლა ითვალ მთავი, ფინალში კი სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონმა თითქმის მთელი წრიტ გაუსწრო ხარკოველ ვ. კუნდრევს, რომელიც ამ დისტანციაზე მეორე ფაქტორია.

III სპარბო ადგილისთვის ბრძოლაშიც ანალოგიური სურათი იყო. ორი ხარკოველი ველოსპორტისტი და პოლემჩიკისა და ა. სტაროვის ძალეტი იმდენად უთანაბროდ გამოდგა, რომ პირველი მთელი წრიტ დაწვია მეორეს და რბოლაში წააგდეს. ასეთი დიდი სხვაობა არაერთხელა ოსტატობაში ვერაფერი ნერგვია მაშინ, როცა ოლიმპიადის დაწყების ორიდღე თვე აქლია.

მაგრამ თბტიმისთვის უფლებას არც მოსკოვის შედეგი გვაძლევს. ნახევარფინალში სსრ კავშირის ჩემპიონმა აჩვენა 5.01,51, რაც ბოლო საერთაშორისო შეჯიბრება ფაქტორების შედეგებს საგრძნობლად ჩამორჩება. ამ მხრივ საკმარისია გავისწნოთ გფრ-ის ველოსპორტის კრატეფრის ამასწინანდელი მაჩვენებელი — 4.52,4, ან იტალიის, მექსიკისა და დანის უძლიერეს სპორტსმენთა შედეგები.

თანამედროვე სპორტში დღისთვის საჩუქისუფლებიანობა აღინიშნება. მორელობი სრულყოფილი ტაქტიკური აზროვნების ნიმუში გახლავთ, ფხაკაძე — თითქმის აბსოლუტური სისწრაფის ეტალონი და ტურინი — ამ ორი გამოჩენილი სპორტისთვის თავისებური სინთეზი. ცხადია, მეხიკოში ამ ტროსს დაემატება სულ მცირე კადვე ერთი ასეთი სახეული, რომლებიც გაითამაშებენ ველოსპორტის ისტორიაში ყველაზე საკმა

ტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედეებს.

მორელობს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სპრინტერს, თავის დიდ გამარჯვებებში მუდამ უმწვერებს მხარს ასევე მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ტრანტენი. ეს ფრანგული წყვილი მუდამ იყო განთქმული სინქრონული, თითქმის უმეტესდომო მუშაობით. იტალიელთა სწრაფვა ურთიერთდახმარებისკენ საყოველთაოდაა ცნობილი და დაკანონებული. სწორედ აქედან იღებს სათავეს ფრანგების, იტალიელების, ბელგიელების, დანიელების, პოლანდიელებისა და სხვათა წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე.

ომარ ფხაკაძე უკვე მრავალი წელი მარტოა ამ ტიტანურ ბრძოლაში და ამიტომაც ნაკლებად სახარბილო მდგომარეობაშია, ვიდრე მისი მუდმივი მეტოქეები. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სისწრაფით ოფიციალური რეკორდსმენია საბჭოთა კავშირში (11,1) და არაოფიციალური — მსოფლიოში (შარშან მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულში მან აჩვენა ფინანსალური დრო — 10,6, რომელიც მსოფლიოს რეკორდად არ დაამტკიცეს მალაშთიანი ტრეკის მიწუშით), მაგრამ მას არა აქავს დამხმარე საჭირო სიტუაციებში, ისეთი, როგორიც მორელობის ტრანტენის სახით, ან ტურინის — ბორგეტის სახით.

ხარკოვის ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ოლიმპიური № 2 სპრინტერის შერჩევა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ გადაჭრა საკითხი. ყოველ შემთხვევაში, ფხაკაძის ნაღდი თანამშემუშის ვინაობა ვერჯერობით უცნობია. თუმცა, ფორმალურად, ადგილი ოლიმპიურ ნაკრებში დაიბევა ადგილობრივმა სპრინტერმა ი. ცელოვალნიეშმა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ თვით მორელობთან მისინჯა ძალა და II ადგილი დაიკავა.

ფხაკაძე და ცელოვალნიევი სხვადასხვა გზით მიადგნენ ფინალს, რომელიც დღეს მეხიკოს საგზურის ფორმალურ გარანტიას წარმოადგენს. ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე მსოფლიოს ექს-ჩემპიონისთვის ეს გზა წარმოუდგენლად ადვილი, თითქმის უკონფლიქტო და ამიტომ უინტერესო იყო. ცელოვალნიევის კი თავისი მეტობის დაცვა მოუხდა ყველა სერიამში, წინასწარინდან დაწყებული, ფინალამდე.

წინასწარმა სერიებმა — ბრძოლის პირველმა ეტაპმა უსწესაყოლო ჩაიარა. მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება პირველივე ცდიდან მოიპოვეს ო. ფხაკაძე, ი. ბოლნიეკსა (ცსკა), ხარკოველმა ს. კრავცოვმა („დინამო“), ა. აგაპოვმა (ცსკა), მოსკოველმა ვ. ტორმოშოვმა („დინამო“), ხოლო იმედის სერიების შემდეგ — ბ. პეტროვმა (ცსკა) და მოსკოველმა ი. ლუკიანოვმა („დინამო“).

შემდეგ უკვე დაიწყო (როგორც აქ ხუმრობდნენ) გააფთრებული ბრძოლა II ადგილისთვის და ფხაკაძის „ტემბილი ცხოვრება“. ცელოვალნიეოვმა ორ სერიამი დაამარცხა ლუკიანოვი, ფხაკაძემ — პეტროვი, ბოლნიეკსმა — ტორმოშოვი. აგაპოვი მესამე ცდის შემდეგ გავიდა ნახევარფინალში. აქ კი ახალი კენჭისყრა და ახალი წყვილები.

ფხაკაძე — ბოლნიეკსი, სსრ კავშირის ჩემპიონი და ექს-ჩემპიონი, ყველას ეგონა, რომ ექს-ჩემპიონი თავის შემევიდრეს ბრძოლაში, შეცარ გამოცდას გაუმართავდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რიგული ორივე სერიამი დამარცხდა. სამაგიეროდ, ცელოვალნიევის ფინალში გასასვლელად სამივე ცდის გამოყენება დასჭირდა.

ბრძოლა არც ფინალში ყოფილა. პირველ სერიამი ფხაკაძემ დაახლოებით 20-25 მეტრი მოუგო მეტოქეს და ამით, ფაქტიურად, მეორე სერიის ბე-

სურათზე: ომარ ფხაკაძე და მისი მეტოქეები, სპორტის ოსტატი ავთანდილ გუნია მორიგი ვარჯიშის შემდეგ. ფოტო მ. ზარგარანიხა.



დიც გადაწყვიტა. სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მესხეთე მედალი მან თითქოს წერტანაში, ვარჯიშში მიიღო. ჩემპიონს არც ერთხელ არ დასჭირდა ბოლო 200 მეტრის მაქსიმალური სისწრაფით გაგლა. წინასწარ სერიებში მისა შედეგი იყო 12,7 და 11,9, მეოთხედფინალში ორჯერ აჩვენა 11,7, ნახევარფინალში ერთხელ — 11,8, მეორედ — 12,0, ხოლო ფინალში — 12,0 და 12,3.

აი, სამოლოდ როგორ განაწილდა ადგილები სპრინტში: 1. ო. ფხაკაძე, 2. ცელოვალნიევი, 3. ბოლნიეკსი, 4. აგაპოვი, 5. კრავცოვი, 6. ტორმოშოვი, 7. პეტროვი, 8. ლუკიანოვი.

ქალთა სპრინტსაც ჰყავდა თავისი

ფაქტორები: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გ. ერმოლაევა (ცსკა), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ტელევი ვ. სავინა („ბურვევტსნიკი“) და ორი ადგილობრივი სპორტსმენი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ი. კირიჩენკო (ცსკა) და ა. მაგინცი („ბურვევტსნიკი“). ნახევარფინალში დამარჯვებულ მოიგეს კირიჩენკო და ერმოლაევა, ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა მაგინცმა, რომელმაც ორივე სერია მოუგო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს.

ფინალში კი... მოხდა უცნაური რამ. მეორე სერიამი (პირველი მთავი კირიჩენკომ) ერმოლაევა წაიჭვა. მსაჯთა კოლეგიამ ინციდენტი დეტალურად არ

შეისწავლა და ფინალი გადაიტანა... ერევანში. შეჯიბრება გაიმართება ორი თვის შემდეგ, ოქტომბერში. საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება!

3 კილომეტრზე გამოდგნებით რბოლაში ყველას აუბო მსოფლიოს ჩემპიონმა თ. გარკუშინამ (ტულა).

6. ზაზუშვილი.

ფხაკაძე უღიღასი სპრინტერია

ჟურნალმა „სპორტ ზა რუბეკომ“ დაბეჭდა ჰოლანდიის ველოსპორტისტი ახლანდელი მწვრთნელის, სპრინტში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის (1939 წელს — მოყვარულთა, ხოლო 1946, 1957 წლებში პროფესიონალთა შორის) იან დერბოსის ინტერვიუ. „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდის, რომელიც მათთვის, ვფიქრობთ, ინტერესოვლებული არ უნდა იყოს.

რა შთაბეჭდილებას ახდენენ თქვენზე საბჭოთა ველოსპორტისტები?

— ვფიქრობ, ორი-სამი წლის შემდეგ სსრ კავშირის მობოლელები მსოფლიო ველოსპორტში მოწინავე ბოზიციას დაიკავენ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი მთელ თავისუფალ დროს სპორტს უთმობენ. ნაკრებში მოხვედრა მათთვის ოცნებაა, რომლის გახორციელებისთვისაც ძალ-ღონეს არ იშურებენ. ოდესღაც მეც ასე ვიყავი. დღეს, სამწუხაროდ, ამის ვერ იტყვი ჩემს მოწაფეებსა და ვეროპის სხვა ძლიერ მობოლელებზე: ისინი ვაზარბაცდნენ, ველოსპორტისაში ინტერესი ღლიდალღე უნელებლათ. აცტემობილით სერიოზობა უფრო იოლი არაა?.. მაგრამ ახლო მომავალში საბჭოთა ოსტატების ფინანსარში მოხვედრას, რასაკვირველია, სხვა მიზეზებიც განაპირობებენ. სსრ კავშირის ნაკრებს სიმტკიცის დიდი მარაგი აქვს, ხოლო მისე ლიდერი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ომარ ფხაკაძე უდიდესი სპრინტერია, რომელსაც ფხიკური მონაცემებისა და სისწრაფის მბოროდ ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში. შინ საკვეშიოთა სარბიელზე რომ გამოდის, ფხაკაძე უფრო დაჯერებულად გრძობს თავს. სამწუხაროდ, უცხოეთის ტრეკებზე ომარი ხშირად იბნევა და მეტოქის ნება-სურვილს ეწირება. შარშან შემოდგომით მეხიკოში ფხაკაძემ ფინალური შეჯიბრება დაუთმო ჟორდანო ტურინს, რომელთანაც დიდხანს არ მარცხდებოდა — „ჰკუთო“ წააგო. ომარმა უნდა ვთავაზობოთ თავისი ტაქტიკური რეპერტუარი, უნდა შეიარაღდეს ცრუ ანჭარებებით, შეტოქეზე „დაწოლოთ“ და მოულოდნელი ივროშით.

იან, ვფიქრობთ რამდენიმე სიტყვა ოლიმპიური ოქროს მედეების პრეტენდენტთა შესახებ.

— ჩემი აზრით, ოლიმპიური ჯილდოების „დაყოფაში“ მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი, ფრანგი დანიელ მორელობი, მისი თანამემამულე პეი ტრანტენი, იტალიელი ტურინი და თქვენი ფხაკაძე.

ტანდემებზე მთავარი ბრძოლა ვაჩაღდება იტალიელებს ტურინი — გონზეტოსა და ფრანგებს ტრანტენ — მორელობს შორის. ოლინდ ვაჩაღდება იმ შემთხვევაში, თუ ამას ინისენ — ლუგესანის პოლანდიური დუეტი და საბჭოთა ტანდემი არ შეუშლიან ხელს.

გიტში გამარჯვებისთვის, ვფიქრობ, საჭირო იქნება 1.03-1.03,5. ამ სახეობაში მთავარი პრეტენდენტები არიან დანიელი ფრედბორგი, იტალიელი სპორტორი და ჩვენი კლასის ბაღვი. გამოდგნებით გუნდურ რბოლაში ფაქტორება რჩება სსრ კავშირის ნაკრები. მსოფლიოს ჩემპიონებს მხოლოდ შემთხვევითობა თუ წაართმევს ოქროს ჯილდოს.

ღირსა კი?

განთიადელი მშოუნების ტურნირი აზერბაიჯანის სოხუმში გაიმართა. პირველია, რაც ამ შეჯიბრებაზე უნდა ითქვას: მისი ყველა მონაწილე თანაბარ სიმაღლეზე არ იღვა. მაგალითად, ქალებში გამარჯვებულმა აკარის სპორტმომადგენელმა ს. მარჩენკამ 100 მეტრზე რბენაში 13,2 აჩვენა. სიმტკიცე იღმა ა. შენგელმა კი... 19,0. შუბის ტყორცისა და ბირთვის ვერაში კარგად გამოვიდა 21 წლის ვ. სლანოვა (სამხრეთ ოსეთი); მისი შედეგებია 35,36 და 11,17 შესაბამისად. 17 წლის რ. რამიშვილმა (ისევე სამტრედიამ) კი ამ სახეობებში აჩვენა 19,10 და 5,10. სოცრად უხეირო შედეგებია: ვათა შეჯიბრებაში ქუთაისელმა გ. ხარჩიამ 100 მ 11,2 წამში გაიჩინა, გორელმა ა. ფილიშვილმა კი ამ მანძილის ველოს. 16,3 მონაწილმა. თბილისელ ბ. კრეჩენკოს 800 მეტრის დასაფარად 2.05,2 დასკირდა, აკარის წარმომადგენელ ბ. სულავას — 2.37,0. ხეი იყო თითქმის ყველა სახეობაში.

ორთა კი სასაბჭოვოდ, კუტსაიდებების წყაფვას. ლმაში იყო შეჯიბრება 400 მეტრზე რბენაში. ფინიშთან პირველი მივიდა 17 წლის გორელი სპორტსმენი გ. თსიპოვი — 53,0. მისთან სულ სამი მეთვლი წამი წააგო მახარაძემ ბ. ხანთაძემ (სხვათა შორის, ხანთაძე 30 წლისა).

თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ბაგლოვი სტარტზე მარტო გამოვიდა თავის ძირითად სახეობაში — საარულში. 10 კილომეტრის ველოს. მან 52,12,0 მონაწილმა. ერთი სპორტსმენი ცდიდა ძალას „სამხტომშიც“. ეს იყო 29 წლის ვ. კრავცივი (რუსთავი) — 12,82.

სად იყო ასალგაზრდობა ამ სახეობებში, 5 კმ-ზე რბენაში? ამ დისტანციაზე გამარჯვებული, აფხაზეთის წარმომადგენელი ვ. პეტროსიანი (15,22,0) უფრო 27 წლისაა.

სასამოვერო შთაბეჭდილება დატოვა 15 წლის სამტრედიელმა გოგონამ ა. კურენამ, რომელმაც მორელობი სიმბოლეზე (145) და სიგრძეზე (482) ხტომა. 200-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვდა 17 წლის რუსთაველში მშოუნისანმა ლ. სემირენკიანამ (28,7), მაგრამ ბაღროს მტყორცნელ ქალებში გამარჯვებული ი. ტარანი (თბილისი) უკვე 32 წლისაა. მისი შედეგია 35,72.

მშოუნისანობაში ახალგაზრდები აღარ არიან თბილისელი ნ. სავანელიძე და რუსთაველი ვ. ნევილიკო. სავანელიძემ სიმბოლეზე ხტომაში ამჯერად 195 სმ დაძლია, ნევილიკო კი სიგრძეზე ხტომაში 627 აჩვენა. 200 მ 23,3 წამში გაიარებინა ქუთაისელმა დ. ფრუიშემ. ლ. ნანიევა (სამხრეთ ოსეთი) შუბი 62,90 მეტრზე ტყორცნა და ამით წლეილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში (III ადგილი).

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა თბილისელებმა მოიპოვეს. I ადგილზე არიან ქუთაისელი სპორტსმენები.

3. ზაქიანი. (ჩვენი სვეტ. კორ.).


ქრესეპი... სპალინსე

ქუთაისის მე-6 სახანძრო რაზმის სპორტულ მოედნებს მაშინ ვნატუ-მრთ, როცა მის მწვანე მინდორს ძროხები დაპატრონებოდნენ. ზოგი გულანად შეეცქეოდა ხასხასა ბალახს, უკვე გამოძლარნი კი მზარ-თეძო-ზე წამოწოლილიყვნენ და გულმოდგინედ იცოხნებოდნენ.

სახანძრო დაცვის უფროსმა მ. კანიშვილმა თავი იმართლა, ჩვენ სპორტსმენებს ქალაქში II ადგილი უჭირავთ სახანძრო-გამოყენებით სპორტში, მაგრამ ახლა ისინი მოედნებზე იშვიათად მოდიან და ბალახს ხომ არ მოვაცდენლითო.

საოცარი ისაა, რომ მეხანძრეთა ბაზებზე ასპარეზობის არავითარი კვალი არ ჩანს. ალბათ, მე-6 სახანძრო რაზმა მოედნები პირუტყვებს სამუდამო ხარკებლობისთვის გადასცა.

ფოტო და ტექსტი ვ. ბუკინისა. (ჩვენი სვეტ. კორ.).



სსრ კავშირის პირველობა

ქვემო

ქვემო ბრძოლის შედეგები



4 აგვისტოს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „სპარტაკი“ და ცსკა.

თბილისი „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 აგვისტო. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0 (0:0).

და კონფედერატს არა ერთი ქვემო ბურთის აღება მოუხდა.

თბილისის „ლოკომოტივის“ ერთობ ქვემო მატჩი ჰქონდა ორჯონიკიძის „სპარტაკის“ ძლიერ გუნდთან.

ში. პირველი 10 წუთის განმავლობაში „ლოკომოტივის“ კართან ზედღირად რამდენიმე მომენტი შეიქმნა.

მ რ ზ მ ნ ა ე უ ი

2 აგვისტოს გაიმართა „ბ“ კლასის რსფსრ-ს III და IV ზონების კალენდარული მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია:

III ზონა „მეტალურგი“ (რუსთავი) — „არაზი“ (ნახიჭევანი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 2:0, „ტორპედო“ (არმავირა) — „ტრუდი“ (ენგელსი) 0:1, „უროჯაი“ (მაიკობი) — „ენერჯია“ (ვოლკსკი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „ნიმიკი“ (ნევინომისკი) 0:0, „უროჯაი“ (სვეტლოგრადი) — „უროჯაი“ (სლავიანსკი) 2:0, „უროჯაი“ (ალექსანდროვსკაია) — „უროჯაი“ (ლენინგრადსკაია) 1:0, „სპარტაკი“ (ბელგო-ბელი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) 1:0.

IV ზონა „სეიანი“ (ოქტომბერიანი) — „მალაროვი“ (ვიათურა) 2:1, „ლორეანოვი“ (კაფანი) — „ლორი“ (კიროვკანი) 0:0, „არაქსი“ (ქრშიანი) — „სპარტაკი“ (ცხანვალი) 3:0, „მაშინსტრუქტული“ (პიატიგორსკი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 1:0, „უროჯაი“ (გროზნო) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1, „ირისტონი“ (მოზდოკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:2, „მერცხალი“ (მხარაძე) — „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) 2:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ცემენტ“ (ნოვოროსისკი) 0:0, „ტრუდი“ (კასპისკი) — „უროჯაი“ (დურბენტი) 0:2.

ზელიზელ მესამე

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 3 აგვისტო. „დინამო“ (ბათუმი) — „ზვეზდა“ (პერში) 2:0 (1:0). „დინამო“: კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, ხაბიბულინი, გიორგიანი, ილუ-რიძე, დიანოვი, კვიციანი, რ. გაგუა, მაისურაძე, ვერულიძე.

„ქ“ კლასი

თო მდგომარეობა. იერიშებში სისტემატურად მონაწილეობდნენ მცველებიც — ჩხაიძე, გიორგიანი, ქორიძე. მე-5 წუთზე ილურიძე-მაისურაძის კომბინაციის შემდეგ პერულიძის ძალიან ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა კუთხურზე.

ბათუმის დინამოელებმა წლევენდელ გათამაშებაში პირველი მარცხი სწორედ პერშის „ზვეზდასთან“ განიცადეს, ამიტომ ვასაგებია რეგანის ის წყურვილი, რომელიც

მათ ამოქმედებდა ამ შეხვედრაში. მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი ისე გავიდა, რომ კვახაძის კართან არ შექმნილა რამდენიმე მინც სახიფა-

ანალოგიურად მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. 72-ე წუთზე კვიციანი-ვიციანი დიანოვი-გაგუა მარცხენა ფლანგზე და ზუსტი დარტყმით დაამთავრა თავისი გარღვევა — 2:0.

ციფრები და ფაქტები

სტატისტიკოსის გლოკნოტში

წლევენდელ გათამაშებაში მონაწილე გუნდებიდან საფეხბურთო პირველობების მანძილზე სატურნირო ცხრილში მხოლოდ 4 გუნდი არ მდგარა X ადგილზე და ბლა. მოსკოვის „სპარტაკი“, ცსკა, თბილისის „დინამო“ და დონის როსტოვის ასკ.

ნათ, მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები თავიანთ გულშემატკივრებს გააოცებდნენ. პირველობაში მოგებული 16 შეხვედრიდან დინამოელებმა სამი და უფრო მეტი ბურთის სხვაობით მოიგეს 13 (!).

პირველი ფეხბურთელი, რომელმაც შეიძინა ორ სეზონში მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა, იყო ნ. სიმონიანი (მოსკოვის „სპარტაკი“). 1949 და 1950 წლების ჩემპიონატებში მან შესაბამისად 26 და 34 ბურთი გაიტანა. ზუსტად 10 წლის შემდეგ სიმონიანის მიღწევა გაიმეორა თბილისის დინამოელმა ზ. კალოვამ. 1959 წელს მის ანგარიშზე 16 ბურთი იყო, ხოლო 1960 წელს კალოვამ და გ. გუსაროვი (მოსკოვის „ტორპედო“) 20-20 ბურთი გაიტანეს. მომდევნო სეზონში გუსაროვი 22 ბურთი გაიტანა, კვლავ საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიხვეჭა და სიმონიანის თავისებური რეკორდის მესამე თანაგებრი გახდა.

საკავშირო პირველობების მანძილზე ყველაზე ნაკლები (5) ბურთი ერთ ტურნირში გაიტანა იქვე ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელებს, ყველაზე ცოტა (ისევ 5) ბურთი საკუთარ კარში მიიღო მოსკოვის „დინამომ“. ეს მოხდა I ჩემპიონატში (1936 წ. გაზაფხული).

ყველაზე უხვგოლიანი ფრე (4:4) აღინიშნა ხუთჯერ. აქედან ორ-ორჯერ ასეთი შედეგით მატჩები დაამთავრეს მოსკოვის „სპარტაკის“, „ტორპედოსა“ და ტაშკენტის „პაჩტაკორის“ ფეხბურთელებმა.

სსრ კავშირის ყველა ჩემპიონატის მანძილზე მოსკოვის გუნდები მხოლოდ ერთხელ ვერ მოხვდნენ საპირისპირო ადგილებზე: 1966 წელს პირველი სამეული ასე განაწილდა: 1. ვიევის „დინამო“, 2. ასკ (დონის როსტოვი), 3. „ნეფტჩიანიკი“ (ბაქო).

თითოჯერ იქნა აღნიშნული ასეთი შედეგები: 7:3 (ამ ანგარიშით ცდკა-მ დაამარცხა ლენინგრადის „დინამო“ 1939 წელს); 7:4 „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ერევანი). 1960; 8:3 „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). 1953; 8:5 „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი). 1940; 9:1 „დინამო“ (ლენინგრადი) — „ბურევსტნიკი“ (მოსკოვი). 1938; 10:0 „დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი). 1945; 10:1 „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი). 1949; 10:2 ცსკა — „შინიკი“ (იაროსლავლი). 1964.

შედიზედ სამ სეზონში ოქროს მედლების მთავრება შეძლო მხოლოდ ერთმა გუნდმა. ასევე შედიზედ სამჯერ ვერცხლის მედლებს მხოლოდ ერთი გუნდი ფლობდა. აღსანიშნავია, რომ ეს 1946-47, 48 წლებში მოხდა. მაშინ I ადგილზე უცვლელად მოსკოვის არმიელები გადიოდნენ, ხოლო დედაქალაქის დინამოელები II ადგილს სჯერდებოდნენ.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ყველაზე დიდი შედეგიანობით 1947 წლის სეზონში გამოირჩეოდნენ. ერთ მატჩში მათ საშუალოდ 2,375 ბურთი გაიტანდნენ.

როგორც ცნობილია, „ფუტბოლის“ პრიზი 1961 წლიდან ეძლევა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტჯერ შეძლებს თავისი მეტოქის დამარცხებას დიდი ანგარიშით (3 და მეტი ბურთის სხვაობით). ასეთი პრიზი 1946 წელს რომ დაეწესებინათ

ცუიკულთა ბამარჯვება

ყველა წარმატებით ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ტყიბულის „მემახტემ“. ცუიკულელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს იუესკის „ზენიტი“ და დაამარცხეს იგი — 2:0.

მოგვიყავს სხვა შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები: „დინამო“ (მხარაძე) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:0, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „თერგი“ (გროზნო) 3:2, „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) 2:3, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:3, „ვოლგა“ (გორკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) 3:0.




„ამირანმა“ გაამარტლა სსრული

სურათი უკვე მარჯვნივ — ფინალური მატჩის მომენტი „ტუვის ბურთის პრიზზე“ უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე შედგა. ორამინ-

რის „ამირანმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა თბილისის „იმედი“; მარცხნივ — ორამირის „ამირანის“ ნორჩ ფეხბურთელთა კოლექტივი. ფოტო თ. ჯავახიძის და ა. კაკაძისა.

ვერ გავვას სერვისს

საბავშვო სკოლა



წლებადღელ სპორტულ სეზონში თავი ისახელა სოხუმელმა მძლეონამა ოლია მიხაილოვამ. ამ ნიჭიერმა გოგონამ ჯერ აფხაზეთის ჩემპიონმა მოიპოვა 100 და 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში, შემდეგ გოგონათა შორის რესპუბლიკის ჩემპიონობაც დაიხატა სიგრძეზე ხტომაში (517 სმ). ამ დღეებში ოლია კვლავ წარმატებით გამოვიდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში, სადაც მძლეონის 5 სახეობაში ასპარეზობდა და ყველაგან საპრიზო ადგილებზე გავიდა.

სურათზე: მ. მიხაილოვა ისვენებს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

ფოტო ი. იუნაევისა.

ამ დღეებში მოსკოვში სტარტი მიეცა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა საკავშირო საპრეტაკიადს, რომლის პროგრამაში მძლეონობაც შედის.

სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტებისა და მომზადების მიზნით თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა ამ საზოგადოების ჭაბუკთა პირად-გუნდური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდები.

ასპარეზობის შედეგებმა ვერაფრით გავასარეს. ასამდე სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ პირველთაშორისები და სპორტის ოსტატობის კანდიდატებიც კი, სრულიად მოუწადებელი აღმოჩნდა. მიღწევათა უღვარი აქ IF თანრიგის შედეგით განისაზღვრებოდა, რომლის ჩვენება მონაწილეთა მხოლოდ 25-30 პროცენტმა თუ შეძლო. შეჯიბრების ორგანიზატორები და გუნდების მწვრთნელები სპორტსმენთა მარტყის დიდ სიბერეს მიაწერდნენ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მთავარი მიზეზი არაა. ვფიქრობთ, ამას ადასტურებს თუნდაც ტურნირში უკონკურსოდ მონაწილეთა, სპორტის ოსტატ გ. გუდაშვილის გამოცხვლა, რომელმაც ბადრო 59,16 მეტრზე ტყორცნა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

აქვე გვინდა ვუსაყვედუროთ იმ მწვრთნელებს, რომლებსაც ერთი და იგივე სპორტსმენები შეჯიბრებას ოთხ და მეტ სახეობაში გამოჰყავდათ. მაგალითად, სოხუმელი ო. მიხაილოვა ასპარეზობდა 100 და 200 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში და ვსტაფეტებში 4x100 და 4x200 მ. თუკაც ნიჭიერი გოგონა ყველა სახეობაში საპრიზო ადგილებზე გავიდა, მაგრამ დიდმა დატვირთვამ მისი მარჯვენა მარცხე შეზღუდა. მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გ. შოშიაშვილი, დ. კორნიეიჩი (ორივე — თბილისი), ი. პომპოვა (აფხაზეთი), ვ. ფედოსეენკოვა (აჭარა) და სხვ.

ი. იუნაევი.

თი) — 145; ბირთვი, ლ. დენისოვა (თბილისი) — 10,26; ბადრო. ო. შტუკატუროვა (აჭარა) — 32,92; შუბი, ლ. მანაშეროვა (აფხაზეთი) — 33,90; ხუთკიდი. ფედოსეენკოვა — 3669 ქულა.

გაბაუკავი. 100 მ. მ. ქარსელაძე — 11,6; **110 მ. თარჯბრენი, ლ. გლადილინი (ორივე — თბილისი)** — 18,0; **თარჯბრენი 200 მ. ნ. კოვნირიძე (ქუთაისი)** — 28,8; **200 მ. ბ. ასათიანი** — 23,8; **400 მ. დ. კორინეიჩი** — 52,9; **800 მ. გ. შოშიაშვილი** — 2,00,8; **1.500 მ. შოშიაშვილი** — 4.15,0; **3.000 მ. ა. მიქოიანი** — 9.25,4; **სპორტული სიარული 5 მ-ზე. გ. მაკევი (ყველა — თბილისი)** — 25,23,0; **ესტაფეტა 4x100 მ. თბილისი** — 45,6; **4x400 მ. თბილისი** — 3.37,3; **სიგრძეზე ხტომა. მ. პომონდოპული** — 629; **სიმაღლეზე ხტომა. ვ. უხმარსკი** — 185; **კოი. ვ. ხარტიშვილი** — 380; **ბადრო. ე. გაფრინდაშვილი (ყველა — თბილისი)** — 31,70; **ურთ. გაფრინდაშვილი** — 47,50; **ბირთვი. ა. კუცივა (ქუთაისი)** — 11,97; **სამხრეთი. ა. შიბანოვი (აფხაზეთი)** — 14,10; **ათკიდი. კუცივა** — 5618 ქულა. **გუნდური. 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა.**

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • სპორტული •

შპირი „ინტერს“ დაუბრუნდა

გამოჩენილი ბრაზილიელი თავდასხმელი ჟაირი (თქვენ ალბათ გახსოვთ, მესი თამაში მოსკოვის „ტორპედოსთან“) — წლების განმავლობაში თამაშობდა მილანის „ინტერში“. შარშან ე. ერერამ იგი ხანდაზმულად ჩათვალა და „რომას“ მიჰყიდა. ჟაირი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა დედაქალაქის ამ კლუბში.

ახლა, როდესაც ერერა „რომას“ ჩაუდგა სათავეში, მან დაუყოვნებლივ გაათავისუფლა ჟაირი. მაგრამ ბრაზილიელი მულატის კარიერა ამით არ დასრულდებულა. გამოქვეყნდა, თუ არა ერერას გადაწყვეტილება, ჟაირი მაშინვე მიიწვიდა „ინტერში“ კლუბის ახალმა ხელმძღვანელმა, დოქტორმა ა. ფონიმ. მწვრთნელის აზრით, ჟაირისა და რიგის შექმნის შემდეგ გაგრძელების საკითხი „ინტერში“ წარმატებით გადაიჭრა.

ვეროვის საუკეთესო სნაიპერები

უტრალ „ფრანს ფუტბოლმა“ სპეციალური ჯილდო გადასცა ეუსებიოს, როგორც 1967-68 წლებში სეზონის ყველაზე შედეგიან თავდასხმელს ევროპაში.

ეუსებიომ „ბენფიკას“ შემადგენლობაში 26 თამაში ჩატარა და 42 გოლი გაიტანა. აი, უძლიერეს სნაიპერთა სია: 1. ეუსებიო, 2. ლუნი („ჟუპეშტი“) — 36 გოლი 34 თამაშში, 3. ლუიკისი („სელტიკი“) — 32 ბურთი 36 თამაშში, 4. პავესი („ლინფილდი“) — 30 ბურთი 22 თამაშში, 5. შონვალდერი („ჟუნიონი“) — 26 ბურთი 22 თამაშში, 6. კუენელი („კუიუიპი“) — 28 ბურთი 26 თამაშში, 7. ალბერტი („ფერენცვაროში“) — 28 ბურთი 34 თამაშში, 8. ხორტე („აკადემიკა“) — 28 ბურთი 26 თამაშში, 9. ბესტი („მანჩესტერ იუნაიტედი“) — 28 ბურთი 26 თამაშში, 10. დევისი („საუთჰემპტონი“) —

28 ბურთი 34 თამაშში, 11. კინდელი („ფეინორი“) — 28 ბურთი 36 თამაშში, 12. ლერი („ფკ ეილნი“) — 27 ბურთი 34 თამაშში.

კამათი პარლამენტში

იტალიის პარლამენტში დიდი კამათი გაჩაღდა ფეხბურთის თაობაზე. მემარჯვენე დეპუტატებმა (პირითადად, მონარქისტებმა) იერიში მიიტანეს იტალიაში ამჟამად მოქმედ კანონზე, რომელიც კრძალავს ეროვნულ ჩემპიონატში უცხოელების გამოყენებას (მათ გარდა, ვინც ამ კანონის გამოქვეყნებამდე თამაშობდა). მონარქისტებმა დემანგოვას მიმართეს და ამ კანონს „რასობრივი დისკრიმინაცია“ უწოდეს. პარლამენტმა ხმების უმრავლესობით უარყო პროექტი კანონის გადასინჯვის შესახებ.

უცხოელთა გამოყენების აკრძალვა 1970 წლამდე გრძელდება. კლუბებს არაფერ უშლის ფეხბურთელთა ყიდვას უცხოეთიდან, მაგრამ მათი გამოყენება შეიძლება მარტო ევროპულ ტურნირებსა და აშხაპურ მატჩებში.

ონთა და თავების მფლობელთა თანხის გათამაშებათა ფინალური მატჩები ჩატაროს გლზნგში, „ჰემპდენ პარკის“ სტადიონზე. თავიანთ წინადადებას შოტლანდი ელემბი იმით ასაბუთებენ, რომ „ჰემპდენ პარკის“ სტადიონი უდიდესია ევროპაში, ფინალური თამაშების დროს კი მოსალოდნელია სრული სწრაფობა.

ბრუნვი პირველი ადგილზე

ცნობილმა ყურნალმა „ფულბალ ვიუმ“ (გდრ) ჩატარა შეთანხმებული დიდი გამოკითხვა: „ვინაა № 1 ფეხბურთელი ევროპაში? დემოკრატიულ რესპუბლიკაში?“

ესეთ ფეხბურთელად გულშემოტი კვირებმა მიჩნინეს პალეს „ჰემპდენ პარკის“ სტადიონი, რომელიც 264 ხმა მიიღო. მეორე ადგილზეა პანკაუ (236 ხმა), მესამეზე — რ. ლუკე (154 ხმა).

მოკლელ

● **ამსტერდამი.** ყურნალის ტემის გამოკითხვის შედეგად პოლანდის № 1 ფეხბურთელად წილად დასახელებულია 21 წლის ი. კრუფი („იაიქსი“) და პოლანდის ნაკრების თავდასხმელი.

● **გლაზგო.** შოტლანდიაში ჩატარდა გულშემოტიკვირთა ფართო გამოკითხვა: „ვის მივჩინებთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თანხის მოთავსება გათამაშების მთავარ ფაქტორად?“ გულშემოტიკვირების უმრავლესობამ „პარტიოტიზმი“ გამოიჩინა და დაასახელა „სელტიკი“. შემდეგ აღნიშნეს „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მანჩესტერ სიტი“, „მილანი“, „რეალი“ (მადრიდი), „ბენფიკა“ (ლისაბონი), კვიცის „დინამო“.

● **ბადრიდი.** „რეალის“ ცნობილ მეველს სანჩის საქონლის ჩინებული მონაცემები აღმოჩნდა. მან უკვე შეიძინა შენობები ტურისტებისთვის, ახალთაბალი სასტუმრო, საცურაო აუზი და ა. შ.

● **ამსტერდამი.** პოლანდიაში დამყარდა მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვის ახალი რეკორდი. „ფეინორი“ „უტრეხტის“ ტანსაცმელს 95 ათას დოლარად იყიდა თავდასხმელი ჰენკ ვერი. ასეთი თანხა პოლანდიაში ჯერ არ გადაუხდიათ.

რედაქტორი მ. კაპაბუამი.

სხვათა შორის

შეხვედრები იმთ უკეთესი

როცა დაკვირვებით დათვალიერებ გრენობლის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ნაგერეული წარკა, ფილატელის-მოყვარულეებმა თავში ხელი შემოირტყეს. ოთხადგილიანი ბობსლეის მარჩილში იქნა... სამი სპორტსმენი. კრეტეულ შენიშვნას ნიგერეულმა ფოსტის მუშაკებმა რეზონულად უბასუხეს, რომ თუკაც ბობსლეი არასოდეს უნახავთ, მათი მარკა, ეს დანაშაულებით იციან, რამდენჯერმე გადააჭარბებს თავის ნომინალურ ღირებულებას.

ინეპ კანრო გონსკლესი

ლოს-ანჯელესში გაიმართა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი ბევრი გამოჩენილი ოსტატის მონაწილეობით. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უამბლდონის წლევენდელ ასპარეზობაში გამოჩენილი რ. ლეიგერი (ავსტრალია) და 40 წლის ვეტერანი პ. გონსკლესი (აშშ). სრულიად მოულოდნელად გაიმარჯვა გონსკლესმა — 1:6, 6:3, 6:4. მან მიიღო პირველი ჯილდო — 20 ათასი დოლარი.

ქალთა ასპარეზობის ფინალში კინგმა (აშშ) სძლია ჯონსს (ინგლისი) — 12:10, 6:3. აქ პირველი ჯილდო ბევრად უფრო ნაკლები იყო — 1.200 დოლარი.

● **კანელი, 2 აგვისტო.** მძლეონათა აქ გამართულ შეჯიბრებაში ლ. ფილაპე ვერმანის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი რეკორდი დამყარა 10 კმ-ზე რბენაში — 28.27,2. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლებულს ევროპაში.

● **ბოლსანო, 5 აგვისტო.** წყალში მხტომელთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოველმა თ. პოგოშევამ ყველას აჯობა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში — 399,03 ქულა. II ადგილზე გავიდა მ. ლუსკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 396,66, ხოლო III — 14 წლის ტ. შტირიოვა (სსრ კავშირი) — 391,74. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. კრემერმა (გდრ) მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. 10-მეტრიანი კოშკიდან ვაჟთა შეჯიბრებაში ისევ იმარჯვა კ. დიბიანი (იტალია) — 480,63 ქულა. საბჭოთა სპორტსმენი ვ. ვასინი მხოლოდ მეშვიდე აღმოჩნდა (434,79).

ქვეყნიერება

● **ბუდაპეშტი, 5 აგვისტო.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თანხის ორგანიზაციის მფლობელმა — კაუნასის „უაღრიზის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირში. გადაწყვეტილ მატჩში კაუნასელებმა დაამარცხეს ტურნირის მასპინძელი — „ხარტაჟუსი“ — 13:12 (8:2). „უაღრიზისმა“ 5 ქულა მოაგროვა. ბრატისლავის „ინტერი“ 4 ქულით II ადგილზეა, III ადგილი დაიკავა ადგილობრივმა „ვაშაშმა“ — 3 ქულა.

● **ბუდაპეშტი, 5 აგვისტო.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თანხის ორგანიზაციის მფლობელმა — კაუნასის „უაღრიზის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირში. გადაწყვეტილ მატჩში კაუნასელებმა დაამარცხეს ტურნირის მასპინძელი — „ხარტაჟუსი“ — 13:12 (8:2). „უაღრიზისმა“ 5 ქულა მოაგროვა. ბრატისლავის „ინტერი“ 4 ქულით II ადგილზეა, III ადგილი დაიკავა ადგილობრივმა „ვაშაშმა“ — 3 ქულა.